

## ძალაშია 2000 წლის 3 აგვისტო

საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის  
1999 წლის 23 ივნისის N 2144 დადგენილებით

### ოცდამეთერთმეტე სესია სან-ფრანცისკო, 17 ივნისი – 10 ივლისი 1948 წელი კონვენცია 87

#### კონვენცია ასოციაციის თავისუფლებისა და ორგანიზაციის დაცვის შესახებ

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა კონფერენციამ, რომელიც მოწვეულ იქნა სან-ფრანცისკოში შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციულ საბჭოს მიერ და შეიკრიბა 1948 წლის 17 ივნისს თავის ოცდამეთერთმეტე სესიაზე,

გადაწყვიტა რა მიიღოს რიგი წინადადებები ასოციაციის თავისუფლებისა და ორგანიზაციის უფლებების დაცვის შესახებ, რაც სესიის დღის წესრიგის მეშვიდე პუნქტს წარმოადგენს, და

მიიღო რა მხედველობაში, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების პრეამბულა იმ საშუალებებს შორის, რომლებსაც შეუძლიათ შრომის პირობების გაუმჯობესება და მშვიდობის უზრუნველყოფა, ცნობს გაერთიანების თავისუფლების აღიარების პრინციპს,

მიიღო რა მხედველობაში, რომ ფილადელფიის დეკლარაციამ კვლავ გამოაცხადა, რომ სიტყვის თავისუფლება და გაერთიანების თავისუფლება მუდმივი პროგრესის აუცილებელი პირობაა,

მიიღო რა მხედველობაში, რომ შრომის საერთაშორისო კონფერენციამ თავის ოცდამეათე სესიაზე ერთხმად მიიღო ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო საერთაშორისო რეგლამენტაციას,

მიიღო რა მხედველობაში, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა თავის მეორე სესიაზე შეუერთდა ამ პრინციპებს და თხოვნით მიმართა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას, რომ მან თავისი ძალისხმევა შემდგომშიც ერთ ან რამდენიმე საერთაშორისო კონვენციის მიღებას მოახმაროს,

ათას ცხრაას ორმოცდარვა წლის მეცხრე დღეს იღებს ქვემოთმოყვანილ კონვენციას, რომელსაც შემდგომში ეწოდება ასოციაციის თავისუფლებისა და ორგანიზაციის უფლების დაცვის შესახებ 1948 წლის კონვენცია:

#### კარი I. ასოციაციის თავისუფლება

მუხლი 1

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომლისთვისაც წინამდებარე კონვენცია შევიდა ძალაში, ვალდებულია იღებს განახორციელოს ქვემოთმოყვანილი დებულებები.

## მუხლი 2

მშრომელებსა და მეწარმეებს, განურჩევლად, უფლება აქვთ წინასწარი ნებართვის გარეშე საკუთარი არჩევანით შექმნან ორგანიზაცია, აგრეთვე უფლება აქვთ შევიდნენ ასეთ ორგანიზაციაში მხოლოდ ერთი პირობით – დაემორჩილონ ამ უკანასკნელთა წესდებებს.

## მუხლი 3

1. მშრომელთა და მეწარმეთა ორგანიზაციებს უფლება აქვთ შეიმუშავონ საკუთარი წესდებები და რეგლამენტები, თავისუფლად აირჩიონ თავისი წარმომადგენლები, ჩამოაყალიბონ აპარატი, წარმართონ თავიანთი საქმიანობა, დასახონ მოქმედების პროგრამა.

2. სახელმწიფო ხელისუფლება თავს იკავებს ყოველგვარი ჩარევისაგან, რომელიც შეზღუდავს ამ უფლებას ან წინ აღუდგება მის კანონიერ განხორციელებას.

## მუხლი 4

მშრომელთა და მეწარმეთა ორგანიზაციები არ შეიძლება დათხოვნილ იქნენ ან დროებით ადმინისტრაციული წესით აკრძალულ იქნენ.

## მუხლი 5

მშრომელთა და მეწარმეთა ორგანიზაციებს უფლება აქვთ შექმნან ფედერაციები და კონფედერაციები და გაერთიანდნენ მათთან. ყოველ ასეთი ორგანიზაციას, ფედერაციას თუ კონფედერაციას უფლება აქვს შევიდეს მშრომელთა და მეწარმეთა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

## მუხლი 6

მე -2, მე -3, მე -4 მუხლების დებულებები გამოიყენება მშრომელთა და მეწარმეთა ორგანიზაციების ფედერაციებისა და კონფედერაციების მიმართ.

## მუხლი 7

მშრომელთა და მეწარმეთა ორგანიზაციების, მათი ფედერაციებისა და

კონფედერაციების მიერ იურიდიული პირის უფლებების შექმნა არ შეიძლება ექვემდებარებოდეს ისეთ პირობებს, რომლებსაც შეუძლიათ დააბრკოლონ მე-2, მე-3 და მე-4 მუხლების დებულებების გამოყენება.

#### მუხლი 8

1. ამ კონვენციით მინიჭებული უფლებების განხორციელებისას მშრომელები, მეწარმეები და მათი შესაბამისი ორგანიზაციები, ისევე როგორც სხვა პირები და ორგანიზაციული კოლექტივები იცავენ კანონიერებას.

2. ეროვნული კანონმდებლობა არ ეხება წინამდებარე კონვენციაში გათვალისწინებულ გარანტიებს და გამოიყენება ისეთნაირად, რომ აღნიშნული გარანტიები არ დაირღვეს.

#### მუხლი 9

1. ეროვნული კანონმდებლობა განსაზღვრავს, თუ რა ზომით იქნება გამოყენებული შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის მიმართ კონვენციაში გათვალისწინებული გარანტიები.

2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების მე-19 მუხლის მე-8 პუნქტში ჩამოყალიბებული პრინციპების შესაბამისად, ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ამ კონვენციის რატიფიცირება არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც იმ არსებული კანონების, სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებების, წეს-ჩვეულებებისა ან შეთანხმებების ხელყოფა, რომლებიც შეიარაღებულ ძალებსა და პოლიციის წევრებს ანიჭებს ამ კონვენციით გათვალისწინებულ გარანტიებს.

#### მუხლი 10

ამ კონვენციაში ტერმინი „ორგანიზაცია“ ნიშნავს მშრომელთა და მეწარმეთა ყოველგვარ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მშრომელთა და მეწარმეთა ინტერესების უზრუნველყოფა და დაცვა.

### კარი II. ორგანიზაციის უფლებათა დაცვა

#### მუხლი 11

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომლის მიმართაც წინამდებარე კონვენცია შესულია ძალაში, იღებს ვალდებულებას განახორციელოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა, რათა მშრომელებისა და მეწარმეებისათვის გარანტირებულ იყოს ორგანიზაციის უფლების თავისუფალი განხორციელება.

### კარი III. სხვადასხვა დებულებები

## მუხლი 12

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 35-ე მუხლში მითითებულ ტერიტორიებთან და იმ ტერიტორიებთან დაკავშირებით, რომლებიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების შესწორების აქტის თანახმად შეცვლილ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 35-ე მუხლშია ნახსენები, გარდა ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში აღნიშნული ტერიტორიებისა, ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიცირება, წინამდებარე კონვენციის რატიფიცირებიდან რაც შეიძლება მოკლე დროში უგზავნის შრომის საერთაშორისო ბიუროს დირექტორს განცხადებას, სადაც მითითებული უნდა იყოს:

a) ტერიტორიები, რომელთა მიმართ იგი იღებს ვალდებულებას ცვლილების გარეშე გამოიყენოს წინამდებარე კონვენციის დებულებები;

b) ტერიტორიები, რომელთა მიმართ იგი იღებს ვალდებულებას წინამდებარე კონვენციის დებულებები გამოიყენოს ცვლილებებით, და მოცემული ცვლილების დეტალებით;

c) ტერიტორიები, რომელთა მიმართ წინამდებარე კონვენცია არ გამოიყენება, და ამ შემთხვევაში ის მიზეზები, რომელთა გამო ის არ იქნება გამოყენებული;

d) ტერიტორიები, რომელთა მიმართ იგი არეზერვებს თავის გადაწყვეტილებას.

2. ვალდებულებები, რომლებიც ნახსენებია წინამდებარე მუხლის 1 პუნქტის a და b ქვეპუნქტებში, ითვლება რატიფიცირების შესახებ დოკუმენტის განუყოფელ ნაწილად და იწვევს მის ანალოგიურ შედეგებს.

3. ორგანიზაციის ყოველ წევრს შეუძლია ახალი განცხადების მეშვეობით უარი თქვას ყველა დათქმაზე ან დათქმების ნაწილზე, რომელიც გაკეთებულია მის წინა განცხადებაში წინამდებარე მუხლის 1 პუნქტის b, c და d ქვეპუნქტების შესაბამისად.

4. ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს იმ პერიოდში, რომლის დროსაც მე -16 მუხლის დებულებების თანახმად შეიძლება მოხდეს წინამდებარე კონვენციის დენონსაცია, უფლება აქვს გაუგზავნოს გენერალურ დირექტორს ახალი განცხადება, რომელიც ნებისმიერ სხვა პირობებში ცვლის ნებისმიერი წინა განცხადების პირობებს და აცნობებს სხვა ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

## მუხლი 13

1. როდესაც წინამდებარე კონვენციაში ნახსენები საკითხები მთლიანად ან ძირითადად მეტროპოლიის ტერიტორიის გარეთ ხელისუფლების კომპეტენციაში შედის. ორგანიზაციის წევრს, რომელიც ამ ტერიტორიაზე პასუხისმგებელია საერთაშორისო ურთიერთობისათვის, შეუძლია ამ ტერიტორიის მთავრობასთან შეთანხმების შემდეგ გაუგზავნოს ტერიტორიის სახელით განცხადება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს ასეთი კონვენციის ვალდებულების მიღების შესახებ.

2. წინამდებარე კონვენციის ვალდებულებების მიღების განცხადება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს შესაძლებელია გაეგზავნოს:

a) ორგანიზაციის ორი ან მეტი წევრის მიერ მათი ერთობლივი მმართველობის ქვეშ მყოფ ტერიტორიასთან დაკავშირებით;

b) ნებისმიერი საერთაშორისო ხელისუფლების მიერ, რომელიც ტერიტორიის მიმართ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებების ან რომელიმე სხვა მოქმედი დადგენილების საფუძველზე პასუხიმგებელია ტერიტორიის მმართველობაზე.

3. განცხადებებში, რომლებიც ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს წინამდებარე მუხლის წინა პუნქტების შესაბამისად მიეთითება, გამოიყენება თუ არა მოცემულ ტერიტორიაზე კონვენციის დებულებები ცვლილებებით ან მათ გარეშე; თუ განცხადებაში მითითებულია, რომ კონვენციის დებულებები გამოიყენება ცვლილებებით, მაშინ მათში დაზუსტდება, თუ კერძოდ რაში გამოიხატება ეს ცვლილებები.

4. ორგანიზაციის დაინტერესებულ პირს ან პირებს ან საერთაშორისო ხელისუფლებას შეუძლია ნებისმიერ დოს ახალი განცხადების საფუძველზე მთლიანად ან ნაწილობრივ განაცხადოს უარი იმ ცვლილებების გამოყენებაზე, რომლებიც დათქმულია რომელიმე წინა განცხადებაში.

5. დაინტერესებული ორგანიზაციის წევრს და წევრებს ან საერთაშორისო ხელისუფლებას იმ პერიოდებში, რომლის განმავლობაშიც მე -16 მუხლის დებულებების შესაბამისად შეუძლება მოხდეს კონვენციის დენონსაცია, შეუძლიათ გაუგზავნონ გენერალურ დირექტორს ახალი განცხადება, რომელიც სხვა ნებისმიერი პირობების შემთხვევაში ცვლის ნებისმიერი წინა განცხადების პირობებს და აუწყებს წინამდებარე კონვენციის გამოყენების არსებულ მდგომარეობას.

#### **კარი IV. დასკვნითი დებულებები**

##### **მუხლი 14**

მოცემული კონვენციის რატიფიცირების შესახებ ოფიციალური დოკუმენტები რეგისტრაციისათვის ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს.

##### **მუხლი 15**

1. წინამდებარე კონვენცია აკავშირებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხოლოდ იმ წევრებს, რომელთა დოკუმენტები რატიფიცირების შესახებ რეგისტრირებულია გენერალური დირექტორის მიერ;

2. წინამდებარე კონვენცია შედის ძალაში თორმეტი თვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც გენერალური დირექტორი მოახდენს ორგანიზაციის ორი წევრის რატიფიცირების შესახებ დოკუმენტების რეგისტრაციას.

3. შემდგომში ე კონვენცია ძალაში შედის ორგანიზაციის ყოველი წევრის მიმართ, მისი რატიფიკაციის შესახებ საბუთების რეგისტრაციის თარიღიდან თორმეტი თვის შემდეგ.

#### მუხლი 16

1. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს, რომელმაც წინამდებარე კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, შეუძლია მისი პირველად ძალაში შესვლის მომენტიდან ათწლიანი ვადის დასრულების შემდეგ მოახდინოს მისი დენონსირება დენონსირების შესახებ აქტის მიღების საშუალებით, რომელიც რეგისტრაციისათვის ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალურ დირექტორს. დენონსაცია ძალაში შედის შრომის საერთაშორისო ბიუროში დენოსაციის აქტის რეგისტრაციიდან ერთი წლის შემდეგ.

2. ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება და რომელიც წინა მუხლში ხსენებული ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ერთი წლის ვადაში არ ისარგებლებს ამ მუხლით გათვალისწინებული დენოსაციის უფლებით, იქნება შეზღუდული შემდეგი ათი წლის ვადით და შემდგომ, ამ მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია ყოველი ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ.

#### მუხლი 17

1. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი ატყობინებს საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრს რატიფიცირების შესახებ იმ დოკუმენტების, დენოსაციის შესახებ იმ განცხადებებისა და აქტების შესახებ, რომლებსაც იგი იღებს ორგანიზაციის წევრებისაგან.

2. გენერალური დირექტორი, ატყობინებს რა ორგანიზაციის ყველა წევრს კონვენციის ძალაში შესვლისათვის აუცილებელი მეორე დოკუმენტის რატიფიცირების შესახებ, იგი ორგანიზაციის წევრთა ყურადღებას კონვენციის ძალაში შესვლის თარიღზე ამახვილებს.

#### მუხლი 18

შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი უგზავნის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს რეგისტრაციისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102 მუხლის შესაბამისად, რატიფიკაციის შესახებ დოკუმენტებისა და დენოსაციის შესახებ ყველა განცხადებისა და აქტების სრულ მონაცემებს.

ყოველთვის, როცა შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭო ჩათვლის ამას საჭიროდ, იგი გენერალურ კონფერენციას წარუდგენს მოხსენებას ამ

კონვენციის გამოყენების შესახებ და წყვეტს არის თუ არა საჭიროება კონფერენციის დღის წესრიგში შეიტანოს საკითხი ამ კონვენციის ნაწილობრივი ან სრული გადასინჯვის შესახებ.

#### მუხლი 20

1. თუ კონფერენცია მიიღებს ახალ კონვენციას, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ ითვალისწინებს წინამდებარე კონვენციას და თუ ახალ კონვენციაში არ არის გათვალისწინებული საწინააღმდეგო, მაშინ:

a) ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ახალი, გადასინჯული ვარიანტის რატიფიცირება გამოიწვევს ამ კონვენციის ავტომატურ დენონსაციას მე –16 მუხლის დებულებებისაგან დამოუკიდებლად, იმ პირობით, რომ ახალი შეცვლილი კონვენცია შევიდა ძალაში;

b) ახალი შეცვლილი კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან ეს კონვენცია დახურული იქნება ორგანიზაციის წევრების მიერ რატიფიცირებასათვის.

2. წინამდებარე კონვენცია თავისი ფორმითა და შინაარსით ძალაში რჩება, ყოველ შემთხვევაში, იმ წევრებისათვის, რომლებმაც მოახდენს მისი რატიფიცირება, ხოლო ახალი შეცვლილი კონვენციის რატიფიცირება არ მოუხდენიათ.

#### მუხლი 21

წინამდებარე კონვენციის ფრანგულ და ინგლისურ ტექსტებს თანაბარი ძალა გააჩნიათ.

-----

ძალაში შესვლის თარიღი: 1950 წლის 4 ივლისი